1. სათამაშო დარბაზში შესვლამდე მონაწილეებს ჩაუტარდებათ თერმოსკრინინგი. ყველა მონაწილემ უნდა ჩაიტაროს ხელების ჰიგიენა სადეზინფექციო ხსნარით;

2. შენობაში შესვლისთანავე უნდა გაიკეთონ დამცავი ნიღაბი, რომელიც არაა სავალდებულო სათამაშო დარბაზის ღია სივრცეში;

3. სათამაშო სივრცეში მოთამაშეების გარდა დაშვებულია მხოლოდ მსაჯებისა და ორგანიზატორების ყოფნა;

4. ტურნირის დასრულების შემდეგ, თითოეულმა მონაწილემ თვითონ უნდა გაიტანოს თავისი ნივთები და ნარჩენები ოთახიდან;

5. ტურნირის დასრულებისთანავე ჩატარდება საჭადრაკო ინვენტარის (ფიგურები, დაფა, საათი), სკამების, მაგიდების, იატაკის და კარებების სახელურების დეზინფიცირება;

6. ტურნირის ყველა მონაწილემ სათამაშო დარბაზიდან ყოველი გამოსვლის შემდეგ უნდა ჩაიტაროს ხელების ჰიგიენა;

7. საჭადრაკო პარტიის დამთავრებისთანავე ყველა მონაწილემ უნდა დატოვოს სათამაშო დარბაზი;

8. ტურნირის დროს დაცული იქნება აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი სხვა რეგულაციები (სველი წერტილის წმენდა, დეზინფექცია, სადეზინფექციო დისპენსერების განთავსება და სხვა)